პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი
№ 143 (11449) | სამშაბათი, 23 ივნისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

140.000 ცალი ჩანთა!

მეჩაიეებო! თუ გსურთ ასახელოთ კოლმეურნეობა, სოფელი — გაუთანასწორდით მოწინავეებს!

ყოველდღიურად ვფარდოთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები

ერთგული ბიბლიოთეკა

სოფელ მახარაძის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობა „გზა კომუნიზმისაკენ“-ში სასახელოდ მუშაობს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ნუნუ ტუღუში. იგი ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ანაღდებს. სურათზე: მოწინავე მკრეფავი ნუნუ ტუღუში.

ფოტო კ. ვაჩიბერაძისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

★ ★ ★

მოსკოველთა ინიციატივა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოსკოვის ოლქის სამრეწველო საწარმოების მშრომელთა პატრიოტული მოძრაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 20 ივნისს მიიღო დადგენილება, რომელიც იწონებს მოსკოვის (საოლქო) ეკონომიური რაიონის სამრეწველო საწარმოების მშრომელთა პატრიოტულ მოძრაობას შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, და წარმატება უსურვა ამ კეთილშობილურ საქმეს, რომელიც განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოსკოვის ოლქის მრეწველობის მშრომელებმა, რომელნიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეული შეხვედრისათვის, იკისრეს ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი — ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 45 მილიარდ მანეთისაზე მეტი მთლიანი პროდუქცია და 1963 წელს მიაღწიონ სამრეწველო წარმოების დონეს, რომელიც გათვალისწინებულია 1965 წლისათვის.

გადაწყდა, რომ ეს ვალდებულებანი განხორციელდეს ახალი ტექნიკის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის, მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების საფუძველზე ისე, რომ არ გადიდდეს შვიდწლედისათვის გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი. წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოთა მთელი მოცულობა, გათვალისწინებული შვიდწლედისათვის, შესრულდება 1964 წელს. საწარმოთა კოლექტივებმა, ნათქვამია მოსკოვის ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებებში, გადაწყვიტეს გამოუშვან გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობის ფოლადი, ქიმიური პროდუქტები, მანქანები, ჩარხები, ხელსაწყოები, ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია, სამნები მასალები, სასურსათო საქონელი, ბამბის, შალის, აბრეშუმის ქსოვილები და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ბევრი სხვა ნაკეთობა. შვიდი წლის განმავლობაში ათვისებულ და გამოშვებულ იქნება დიდმწარმოებლური მოწყობილობა და ახალი მასალები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებას, ტექნოლოგიის სრულყოფასა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

მოსკოვის ოლქის მრეწველობის მუშაკები პირობას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ წარმატებით შეასრულებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. (საკდესი).

★ ★

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

ქალაქის მრეწველობის მშრომელებმა, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის და 20 ივნისს, ე. ი. ნაკისრი ვალდებულების ოთხი დღით ადრე დაამთავრეს ნახევარი წლის გეგმა.

ქალაქის მრეწველობამ ჩვენს ქვეყანას გეგმის გადაჭარბებით მისცა ასობით ტონა ლითონკონსტრუქციები, თუჯისა და ფოლადის სხმული, 4349 ცალი ელექტროავტომატი, 1667 ათასი მანეთის ავეჯი, 44 ათასი მეტრი შალისა და 213 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 186 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი, 171 ათასი წყვილი წინდა, 57 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 120 ტონა მზა დაფასოებული ჩაი, 20 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი და ბევრი სხვა პროდუქცია.

განუწყვეტლივ ნერგავენ რა ახალ ტექნიკას, შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და მოწინავე გამოცდილებას, აუმჯობესებენ რა წარმოების ორგანიზაციას, თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ზეგეგმითი მომჭირნეობით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს ათობით მილიონი მანეთი.

ქალაქის მოწინავე საწარმოთა შორის არიან სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნები, ქარხანა „ელექტროავტომატი“, შუშის, შამპანურის ქარხნები; აბრეშუმსაქსოვი, № 2 ფეხსაცმლის, კოტონის წინდის, ჩაის საწონი ფაბრიკები, სართავ-სატრიკოტაჟო, ავეჯის, კერამიკის, რძისა და სხვ. კომბინატები.

დღითიდღე მრავლდება კომუნისტური შრომის ბრიგადების რიცხვი, იზრდებიან წარმოების მოწინავე-ნოვატორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები, რომლებიც გვიჩვენებენ შრომის დიდი ნაყოფიერების ნიმუშებს. (საქდესი).

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲘᲡ-ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 22 ივნისი (საქდესი). აჭარის ასსრ მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე, 19 ივნისს, შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების მაის-ივნისის გეგმა.

სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 11.091 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც 1415 ტონით მეტია, ვიდრე ამავე თარიღისათვის დამზადებული იყო შარშან.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება. ქობულეთის რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ივნისის დამლევამდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 600 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲑᲛᲣᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ რაიონმა მოკრიფა 87 ტონა ჩაი, სულ სეზონის დაწყებიდან — 18.778 ტონა.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 50 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან — 7.877 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 2.004 ტონით მეტი.

ᲒᲐᲚᲘᲡ რაიონში მოიკრიფა 42 ტონა ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან — 5.526 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 1.345 ტონით მეტი.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 85 ტონა ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან — 8.350,5 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 1.081 ტონით მეტი.

ᲘᲪᲜᲝᲒᲓᲔᲗ, ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲒᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐᲨᲘ

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ. ლუნა კონტუაძემ სოფელ სეფიეთის კოლმეურნეობა „განთიადში“ მოკრიფა 44 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 20 კილოგრამისა, თინა ხუხუამ სოფელ კიწის კოლმეურნეობაში — 70 კილოგრამი, ხოლო ლენა წულაიამ გაჭედილის კოლმეურნეობაში — 65 კილოგრამი ჩაი.

წალენჯიხა. ნინო საპელნიაკმა და არარატ არუთინიანმა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოკრიფეს 70-70 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 20 კილოგრამისა, მოქრი ფიფიამ საჩინოს კოლმეურნეობაში — 90 კილოგრამი, პოლისა ქობალიამ სოფელ ლიის კოლმეურნეობაში — 88 კილოგრამი, ცუფუ კვარაცხელიამ სოფელ წალენჯიხის კოლმეურნეობაში — 90 კილოგრამი ფოთოლი.

საჭრისმა ლითონი გაჰკვეთა

მძლავრმა ხიდურმა ამწემ ტონანახევრიანი სადგარი სარანდავი ჩარხის მოძრავი მაგიდის პირდაპირ შეაჩერა. მრანდავმა ბოგდან ჩიტაიშვილმა ირიბად გახედა სადგარისა და ჩარხის მოძრავი მაგიდის ნაპირებს, კუთხეები შეათვალიერა, შემდეგ მეამწეს ხელის უბრალო მოძრაობით ანიშნა დეტალი ოდნავ მარცხნივ მოეწია.

— დაუშვი, — შესძახა მეამწეს ბოგდანმა და უმალ სახარატო ჩარხ „163-ის“ ვეებერთელა სადგარი მთელი სიმძიმით დაიწვა მაგიდას.

ელექტროღილაკზე ხელის დაჭერისთანავე ამოძრავდა სარანდავი ჩარხის ყველა მექანიზმი. წახნაგოვან პრიზმას წრიპინითა და ღრჭიალით მიჰყვება უმტკიცესი საჭრისი. იატაკზე თოვლის ფანტელებივით ცვივა ლითონის სიფრიფანა ბურბუშელა, სალ შენადნობს ახალი და ახალი არხები გაყავს ლითონის ტანზე, კუთხეებს უსწორებს, საჭირო ზომასა და ფორმას აძლევს ყველა ნაწილს. და აი გამოცდილმა ოსტატმა სპეციალური საზომები დაადგა სადგარის წახნაგოვან კუთხეებს.

—არა, აქ პრიზმის ზედა არხს ერთი ფენა უნდა ავაცალო, — ჩაილაპარაკა თავისთვის ბოგდანმა და ისევ ჩართო მექანიზმები. საჭრისმა ერთხელ კიდევ გაჰკვეთა ლითონის მასა და... სადგარი მზად არის შემდეგი ოპერაციისათვის.

„სამი საათი და 30 წუთი“,— ჩაიწერა უბის წიგნაკში ბოგდან ჩიტაიშვილმა. ეს იმას ნიშნავს, რომ უნივერსალური ჩარხის მთავარი ნაწილის — სადგარის სარანდავი სამუშაო 8 საათის ნაცვლად სამ საათსა და ოცდაათ წუთში დამთავრდა. ბოგდან ჩიტაიშვილის ეს მიღწევა პირველი როდია. უკვე დიდი ხანია მან ამ რთული ოპერაციის გრაფიკი „დაარღვია“. დახელოვნებულმა მრანდავმა დეტალის დამუშავების ყველა ტექნიკურ ნორმაში ცვლილებები შეიტანა, დამუშავების დრო შეამცირა, შეიმუშავა საჭრისების მუშაობის ახალი მეთოდი და რანდვის ახალი ტექნოლოგია.

ბოგდანის რაციონალიზატორული წინადადების დანერგვით, რომელიც მან საჭრისის დამზადების ტექნოლოგიაში შეიტანა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ლითონის დეტალების დამუშავება. იგი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ არსებული საჭრისების ღეროს თავის ცალ პირზე არსებული სალი შენადნობი ვერ აკმაყოფილებდა ლითონის დამუშავების თანამედროვე მოთხოვნილებას. მან წინადადება შეიტანა ღეროს თავის ორივე მხარეზე დამაგრებულიყო სალი შენადნობი იმ ანგარიშით, რომ ერთი საჭრისით რამდენიმე ოპერაცია განხორციელებულიყო. სარანდავ ჩარხებზე ასეთი საჭრისების გამოყენებამ მნიშვნელოვანი ეკონომია მისცა საწარმოს. ახლა მრანდავს აღარ სჭირდება საჭრისების გალესვისათვის დროის დახარჯვა, საჭრისის მოხსნა და ახლის დაყენება, ამასთან ორჯერ შემცირდა სახმარი საჭრისების რაოდენობა.

მუშაობაში ნოვატორული მეთოდების გამოყენებით, ენერგიული, პატიოსანი შრომით ბოგდან ჩიტაიშვილმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის. იგი ყოველდღიურ დავალებებს 270-300 პროცენტით ასრულებს. შვიდწლედის პირველი წლის განვლილ პერიოდში მან წლინახევრის ნორმა გაანაღდა.

Გ. ᲩᲘᲥᲕᲘᲜᲘᲫᲔ.

მშენებლებს აგური რომ არ მოაკლონ

ჩვენს რესპუბლიკაში საითაც გაიხედავთ, თვალს მოგტაცებთ ხარაჩოები. ასეა თელავშიც. ახალშენებლობებს დაუფარავს ისტორიული ქალაქი, რაიონის საკოლმეურნეო სოფლები.

საშენ მასალად აქ ძირითადად აგურია გამოყენებული. თელაველები აგურს წინანდელივით სხვა ქალაქებიდან აღარ ეზიდებიან. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ორი ქარხანა სავსებით აკმაყოფილებს რაიონის მშრომელთა მოთხოვნილებას.

აღნიშნული ქარხნები პირნათლად არიმენენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. აგურს უშვებენ გეგმის ზევით. ამაღლდა ხარისხი.

ამ მხრივ განსაკუთრებით ისახელა თავი აჩინებულის აგურის ქარხნის კოლექტივმა (ქარხნის გამგე შ. ბინიაშვილი). რომელმაც პროდუქციის გამოშვების გასული წლის გეგმა 111 პროცენტით შეასრულა. გეგმასთან შედარებით ქარხანაში 2 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, 2,5 პროცენტით შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მიღწეული წარმატებებისათვის ქარხნის კოლექტივმა მიიღო საქართველოს სსრ იდგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ფულადი ჯილდო.

მოწინავე მეაგურეებს აღარ აკმაყოფილებთ ეს მაღწევები. მიმდინარე სამეურნეო წლის დასაწყისში ისინი შეჯიბრებაში ჩაებნენ და ასეთი პირობა დადეს: ნაცვლად 1,5 მილიონისა წელს დავამზადებთ 2,2 მილიონ ცალ წითელ აგურს შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 3 პროცენტით, ამდენითვე შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას, 5 წელიწადში შევასრულებთ შვიდწლიან გეგმას.

გადიდებული პროგრამის უკეთ შესრულების მიზნით ქარხანაში ვადაზე 25 დღით ადრე დაამთავრეს მოწყობილობის რემონტი. შეკეთდა აგურის საჭელი მექანიზმები, ღუმელები, გაფართოვდა სასაშრობი მეურნეობა და სხვ.

ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მეაგურეთა წარმატებას. მარტო აპრილ-მაისში ქარხნის კოლექტივმა გეგმის ზევით 150 ათასი ცალი აგური დაამზადა.

აგურს გეგმის ზევით, ვალდებულების ანგარიშში იძლევიან გ. ძამუკაშვილისა და ა. ამიროვის კომუნისტური შრომის ბრიგადები. თავდადებით შრომობენ და დღიურ ნორმებს სისტემატურად ორმაგად ასრულებენ მოწინავე მეაგურეები ზ. ფოთოლაშვილი, მ. ჯუსრაშვილი, ნ. ქეცლიშვილი, თ. კეკლიშვილი, ი. ლეკიშვილი და სხვ.

დ. ᲑᲘᲬᲐᲫᲔ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 25 ივნისს, მოწვეულია **თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საქალაქო საბჭოს მესამე სესია.**

სესია გაიხსნება დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 1 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

ᲮᲝᲠᲒᲚᲘᲡ ᲛᲗᲐ ᲓᲐᲕᲓᲒᲐᲗ, ᲙᲝᲛᲒᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲝ!



ᲙᲝᲛᲒᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. **ადამ წიკლაურმა** პირველად გაჭრა პურის ყანა ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და პირველსავე დღეს მომკა 18 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 15 ცენტნერი მარცვალი. **შალვა ღორაშვილმა** და **ავთანდილ ზუბიაშვილმა** სოფელ გამარჯვების ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მომკეს 60 ჰექტარი პური.

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ. **მიხეილ ლაზარიაშვილმა** ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მომკა 18 ჰექტარი პური და გალეწა 378 ცენტნერი მარცვალი ანუ 22 ცენტნერი ჰექტარზე. **ვლადიმერ შანშაშვილმა** ტიბაანის კოლმეურნეობაში აიღო 17 ჰექტარი და გალეწა 408 ცენტნერი პური — საშუალოდ ჰექტარზე — 24 ცენტნერი. **გიორგი კიკილაშვილი** ჯუგაანის კოლმეურნეობაში მუშაობს. მან აიღო 16 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 24 ცენტნერი მარცვალი. **გიორგი ხელაშვილმა** ანაგის კოლმეურნეობა „შრომაში“ მომკა 15 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 22 ცენტნერი.

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ

ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ საბჭოთა მეურნეობა, რომელიც გასული წლის მაისში შეიქმნა, მართალია მერძეველობის სახელს ატარებს, მაგრამ მის საქმიანობაში ნაკლები ადგილი არც მემინდვრეობას უჭირავს. აქ მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული. ამ კულტურებს 1.500 ჰექტარამდე უჭირავს. მეურნეობას საკმაო რაოდენობით აქვს სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდი ნაწილი შეუკეთებელია, მოსავლის აღებას მოუმზადებელი ხვდებიან.

რატომ ხდება ეს?

იმიტომ, რომ მექანიზატორებს სათადარიგო ნაწილები არა აქვთ. რამდენი წერილი, რამდენი განცხადება და თხოვნა გაიგზავნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელს მიეწოდებინა მეურნეობისათვის გუთნებისა და ტრაქტორების ისეთი აუცილებელი ნაწილები, როგორიც არის ძრავის ნაწილები, სიჩქარის კოლოფის კბილანები და სხვ. მაგრამ არც ერთ წერილს, არც ერთ განცხადებას თუ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

უფრო ცუდ მდგომარეობაშია ავტომანქანები. მათი დიდი ნაწილი საბურავების უქონლობის გამო უქმად დგას. მოსავლის აღებისათვის მზადებაში ბევრი ნაკლი თვით მეურნეობის ხელმძღვანელობის ბრალიც არის. მართალია, მზადება უკვე საკმაო ხანია დაიწყეს და ბევრი ღონისძიებაც განახორციელეს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მეურნეობის ხელმძღვანელებს იმაში, თითქოს ნათესების გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან შეუძლებელი ყოფილიყო ცუდი ამინდების გამო.

ამ დღეებში მანგლისელებმა ფართოდ განიხილეს წითელწყაროელ მექანიზატორთა მიმართვა და იკისრეს პატრიოტული ვალდებულებანი მოსავლის უმოკლეს ვადაში და უდანაკარგოდ აღებისათვის. ამ ვალდებულების პირნათლად შესრულების ინტერესები მოითხოვს აქედანვე იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

Შ. ᲛᲐᲘᲓᲚᲘᲫᲔ, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, **Ა. ᲨᲐᲕᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ,** სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველი, **მ. ᲑᲐᲢᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, **ზ. ᲛᲘᲠᲪᲕᲘᲚᲐᲫᲔ,** „კომუნისტის“ სკკ. კორესპონდენტი.

ᲙᲝᲛᲒᲐᲘᲜᲔᲠ ᲤᲐ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲕᲔᲚᲘᲡ ხომალდები უკვე მოედვნენ ოქროს ზღვასავით მღელვარე ყანებს. სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერმა ფირუზ მახარაშვილმა პურეულის მკის პირველი დღიდანვე შეუფერხებლად დაიწყო მუშაობა.

დღეში 18-20 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი ხორბალი! — ასეთია კომბაინერის ყოველდღიური მაჩვენებელი. მექანიზატორი ფ. მახარაშვილი პირველი გამოეხმაურა წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მიმართვას პურეულის მოსავლის ათ სამუშაო დღეში აღების შესახებ. ამ მიმართვის გაცნობისას იგი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირობა დადო: პურეულის მოსავლის აღება 220 ჰექტარზე დაამთავროს ათ სამუშაო დღეში, ამასთან პურეულის აღება, სადაც შესაძლებელია, მოაწყოს პროგრესული წესით — ორ ფაზად. მანქანის სადღეღამისო წარმადობა აიყვანოს სულ მცირე 18-20 ჰექტარამდე. მოსავლის აღებისთანავე მოაწყოს ნაკვეთის გაწმენდა ნამჯისაგან, ხვნა და სიმინდის დათესვა ნაწვერალზე. მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებასთან ერთად ყურადღება მიაქციოს საწვავის დაზოგვას. პურეულის მკის დროს ბუნკერიდან მარცვლის გადმოცლა აწარმოოს ავტოგადასაგზავნელებლად. მინიმუმამდე შეამციროს მუშახელის გამოყენება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებაზე. მოსავლის აღების პარალელურად ბეჭითად იბრძოლოს საზზოგადოებრივი მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, ნაწვერალზე სიმინდი დათესოს მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივად, ამასთან მთელ ფართობზე უზრუნველყოს ორმხრივი მიმართულებით ჭვარედინად დამუშავება და საშუალოდ ჰექტარზე 350 ცენტნერი მწვანე მასის მიღება.

Შ. ᲩᲐᲜᲐᲗᲔᲚᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: კომბაინერი ფ. მახარაშვილი (მარცხნივ) ესაუბრება ტრაქტორისტ ი. ინაშვილს და მეშტურალე ქ. ნანობაშვილს მოსავლის უდანაკარგოდ აღების შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲡᲐᲡᲘᲪᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲪᲜᲝᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

◆ **ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ** რაიონში დღითიდღე ფართოვდება პურეულის აღების ფრონტი. ჭირის აღება დასასრულს უახლოვდება. ბევრგან შეუდგენენ პურის მკას. სულ რაიონში დღემდე მომკილია 3.300 ჰექტარი პურეული და გალეწილია 60.175 ცენტნერი მარცვალი.

მოსავლის აღებაში დაწინაურდნენ ტბაანის, ჯუგაანის, წნორის კოლმეურნეობები. მოსავლის აღების პარალელურად დაიწყო სიმინდის თესვა ნაწვერალზე. უკვე დათესილია 600 ჰექტარი. ტბაანის კოლმეურნეობამ დათესა 165 ჰექტარი სიმინდი, ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 80 ჰექტარი.

* * *

◆ **ᲧᲐᲠᲐᲚᲘ.** (საკ. კორ.) ახალსოფლის კ. მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაამთავრა ქერის მოსავლის აღება. კომბაინერებმა ა. ზარდიაშვილმა, გ. ჯილაძემ, ვ. კეწილაშვილმა და ვ. ხუციშვილმა შარშანდელთან შედარებით ჰექტარზე ერთი ცენტნერით მეტი ქერი გალეწეს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1959 წლის 19 ივნისს

ამხანაგებო! ჩვენ ვცხოვრობთ შესანიშნავ დროს, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდი, როგორც ჩვენი პარტიის ისტორიული XXI ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის პერიოდი.

16 ივნისს მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, რომელზეც ფართოდ წარმოდგენილია ჩვენი რესპუბლიკაც. გამოფენის გახსნა დიდი, სასიხარულო მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

მჩქეფარე, შთაგონებული შრომით ცხოვრობს ახლა მთელი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყანა. მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობს, იყენებს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, მთელ მსოფლიოს უჩვენებს თავის ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს, აგებს კომუნიზმის დიად შენობას, ამრავლებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს დიდებასა და ძლიერებას.

ჩვენი რესპუბლიკის შვიდწლიანი გეგმით დასახულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარების უდიდესი პროგრამა. ჩვენში შემდგომ განვითარდება შავი, ფერადი მეტალურგია, სათბობის მრეწველობა. დიდი სახსრები ხმარდება ენერგეტიკის განვითარებას. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ განსაკუთრებით ვითარდება ქიმიური, ელექტროტექნიკური, აგრეთვე კვების, ჩაისა და ღვინის მრეწველობა.

უკანასკნელ წლებში სერიოზული წარმატებებია მოპოვებული რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ზრდას სულ ცოტა ერთნახევარჯერ-ორჯერ.

ჩვენ ვიმყოფებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ, რომელზეც განხილულ იქნება მრეწველობასა და მშენებლობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შესახებ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. შვიდწლიანმა გეგმამ ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა — მოვახდინოთ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე ხელის მძიმე შრომის ლიკვიდაცია, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის დამთავრების საფუძველზე.

ჩვენს რესპუბლიკაში გვყავს გამოცდილ ინჟინერთა წარმოების მეთაურთა, ბრიგადირთა კადრები, რომლებიც წარმატებით წყვეტენ კომპლექსური მექანიზაციის, ფართო ავტომატიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პრობლემებს.

ახალი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის დარგში. გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის, მისი შემდგომი განვითარებისათვის, მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის, ტექნიკური კულტურებისა და, უწინარეს ყოვლისა, ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ამ ტრიბუნიდან არა ერთხელ გვილაპარაკნია მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ამაღლების აუცილებლობაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს ლაპარაკი ფუჭი როდი იყო, მან დადებითი შედეგები მოგვცა. უნდა ითქვას, რომ ახლა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზაზეა. ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ საზოგადოებრივი მეურნეობა, ვინაიდან ამ საქმეში ნაკლოვანებები გვაქვს. რესპუბლიკაში გვყავს შესანიშნავი კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ წარმატებით გადაწყვიტონ დღევანდელი დღის ამოცანები. მიაღწიონ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას. მე არაერთხელ დამისახელებია და მინდა ერთხელ კიდევ დავასახელო ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ამხანაგები ორაგველიძე, შონია, ქანთარია, დავთიანი, ბელიაევი, შაბანოვი და სხვები. საკოლმეურნეო წარმოების ასეთი საუცხოო ორგანიზატორები ათობით და ასობით გვყავს.

პარტიის XXI ყრილობამ დაგვისახა ამოცანა — კვალიფიციური კადრებით განვამტკიცოთ ჩამორჩენილი საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და რაიონები, შევარჩიოთ კარგი ორგანიზატორები და სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ აამოძრაონ დიდი რეზერვები, დარაზმონ ადამიანები და წინ წასწიონ ჩამორჩენილი უბნები. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამოცანას უთუოდ შევასრულებთ. ამის საწინდარია ჩვენი პარტიული ორგანიზაციების დაძაბული მუშაობა, რესპუბლიკის ყველა შრომელთა აზრების, მიზნებისა და ამოცანების ერთიანობა, უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ჩვენი დიადი პარტიისადმი, ჩვენი საქმის სამართლის რწმენა, კომუნისტური საზოგადოების აშენების რწმენა. ამის საწინდარია ის, რომ ჩვენი ხალხი მტკიცე რწმენით მიჰყვება შშობლიურ კომუნისტურ პარტიას. **(ტაში).**

შვიდწლედში ახალ უმაგალითო გაქანებას აღწევს ჩვენი კულტურა. ჩვენში მეცნიერთა შესანიშნავი პლეადა მუშაობს. რესპუბლიკაში შექმნილია ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები, ვითარდება მეცნიერული კვლევა ავტომატიკის, ტელემექანიკის, გამოთვლითი მათემატიკის დარგში. მალე დამთავრდება ატომური რეაქტორის შენებლობა — მისი ამოქმედება შესაძლებლობას მისცემს ჩვენს მეცნიერებს კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდნენ ბუნების საიდუმლოებას და საბჭოთა ადამიანის სამსახურში ჩააყენონ იგი.

შვიდწლედის განმავლობაში ორი ჩვენი აკადემიის—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები იმუშავებენ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე 300-ზე მეტ მეცნიერულ პრობლემაზე.

ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს პედაგოგთა და სკოლების დირექტორთა მთელი არმია, რომლის რიგებშიც ასობით უნარიანი, კვალიფიციური მუშაკია. ისინი წარმატებით წყვეტენ ჩვენი ახალგაზრდობის განათლების გაუმჯობესებისა და აღზრდის, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების და დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობისათვის მოზარდი თაობის მომზადების ამოცანებს.

ყოველივე ნათქვამი უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები, რომ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ჩვენ გვყავს შესანიშნავი, პრაქტიკულ მუშაობაში შემოწმებული, ისეთ თვისებათა მქონე კადრები, რომლებიც ახასიათებს ახალი ტიპის მუშაკებს, ჩვენი დროის ადამიანებს, ვისაც უნარი აქვს არა მარტო მხარდახარ მიჰყვებოდეს ცხოვრებას, არამედ შორსაც იხედებოდეს წინ, ჭვრეტდეს ჩვენი ცხოვრების ხვალინდელ დღეს.

ყოველივე ეს ასეა. მაგრამ არ შეიძლება თვალი ავარიდოთ იმასაც, რომ კადრების შერჩევისა და განაწილების, მათი ყოველდღიური აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებზეც აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ ჩვენს პლენუმზე იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ისინი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს არაერთგზის უთქვამს, რომ ყოველი საქმის წარმატებას ადამიანები წყვეტენ, და რომ ადამიანებს, კადრებს ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ისინი მთელი ჩვენი საქმიანობის ცენტრში უნდა იმყოფებოდნენ. სწორედ ამიტომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა ამ პლენუმის განსახილველად გამოეტანა კადრებთან მუშაობის საკითხი.

ამ საკითხს ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმიტომ, რომ ამ დარგში ნაკლოვანებები გვაქვს, არამედ, უმთავრესად, იმიტომ, რომ ჩვენი სინამდვილე, თვით ცხოვრება ყოველდღე აყენებენ სულ ახალ და ახალ ამოცანებს, რომლების წარმატებით გადაწყვეტა ძალუძთ მხოლოდ კვალიფიციურ კადრებს, ახლის გრძნობის მქონე, ინიციატივიან ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ დაინახონ ეს ახალი რამ, უნარი შესწევთ გამოეხმაურონ და სათავეში ჩაუდგნენ ყოველივე მოწინავეს, პროგრესულს.

ჩვენი მოვალეობაა ღრმად ჩავწვდეთ საქმის არსს, გავერკვეთ კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებში, აღმოვფხვრათ ამ უბანზე არსებული ნაკლოვანებანი, რათა კიდევ უფრო წარმატებით გავწიოთ წინ.

ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობა ახალი კვალიფიციური და გამოცდილი კადრებით შეივსო. ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: ამჟამად პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების 83 პირველი მდივნიდან 68-ს უმაღლესი განათლება აქვს, 12-ს — დაუმთავრებელი უმაღლესი და მხოლოდ სამს — საშუალო განათლება.

გარდა ამისა, უკანასკნელ ორნახევარ წელიწადში, რაიონული რგოლის კადრების განმტკიცების მიზნით, თბილისიდან და საოლქო ცენტრებიდან რაიონებში გაიგზავნა 16 ამხანაგი. მათგან პირველ მდივნებად — 11, მეორე მდივნებად — 3 და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებად — 2.

პარტიული და საბჭოთა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმან, რომ მათ შორის უფრო ღრმად წარმოებს მუშაობა საქმიანი კვალიფიკაციის, თეორიული ცოდნის ამაღლებისათვის და იდეური წრთობისათვის. უკანასკნელ სამ წელიწადში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ დაუსწრებელ უმაღლეს პარტიულ სკოლაში მომზადება გაიარა 61 კაცმა პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკების რიცხვიდან.

ფართოდ გავრცელდა კადრების სწავლების ისეთი ფორმები. როგორიც არის თეორიული კონფერენციები და კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები. სხვადასხვა თათბირები — რესპუბლიკური, ზონალური და რაიონული თათბირები სამეურნეო, კულტურული მშენებლობისა და შინაპარტიული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის სერიოზული მუშაობა გასწიეს აგრეთვე პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება კადრების აღზრდის საკითხებს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი როდი გვაქვს რიგზე.

ჩვენ რომ ზოგჯერ შეცდომებს ვუშვებთ კადრების შერჩევასა და განაწილებაში, ამას მოწმობს ასეთი ფაქტები. მაგალითად, პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე ერთ დროს ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა ამხ. არევაძე, რომელიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტკომის მდივნად მუშაობდა. სამწუხაროდ. ამხ. არევაძეს საქმიანი თვისებები აკლდა. ჩვენ გავითვალისწინეთ მისი პატიოსნება, მაგრამ ვერ გავითვალისწინეთ ის, რომ მას ჯეროვანი ორგანიზატორული თვისებები არა აქვს. არა აქვს იმის გამოცდილება. რომ პარტიის რაიკომის მდივნად იმუშაოს. ეს შეცდომა გამოვასწორეთ.

შეცდომა იყო აგრეთვე ამხ. ხიდაშლის გადაყვანა ჭიათურიდან ზესტაფონში. ჩვენ ზედმეტად შევაფასეთ მისი საქმიანი თვისებები.

ეს ფაქტები ყველა ჩვენთვის სერიოზული გაკვეთილი იქნება.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომის მდივნებსა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს შორის ჯერ კიდევ ცოტაა უმაღლესი საინჟინრო და სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტები.

მაგალითად, აფხაზეთში პარტიის რაიკომების 15 მდივნიდან არ არის სოფლის მეურნეობის არც ერთი სპეციალისტი უმაღლესი განათლებით, რაიაღმასკომების 5 თავმჯდომარიდან კი მხოლოდ ერთია.

ყველაფერი რიგზე ვერა გვაქვს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე ქალთა დაწინაურების მხრივ.

პარტიის რაიკომების საქმიანობაში დიდმნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორები, მაგრამ ამ ადამიანთა შერჩევასა და განაწილებას ხშირად ზერელედ უდგებიან, არ ითვალისწინებენ მათს მომზადებასა და საქმიან თვისებებს, მუშაობის გამოცდილებას. ამის შედეგად ამ კატეგორიის პარტიულ მუშაკებს შორის ცოტა როდია მხოლოდ საშუალო განათლების მქონე, სუსტი მუშაკები, რომლებსაც ზრდის პერსპექტივები არა აქვთ.

ჩვენი ხელმძღვანელი კადრები მორალურად მტკიცე, იდეურად გამოწრთობილი, ერთგული და პატიოსანი ამხანაგები არიან. მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, თუმცა ერთეული შემთხვევები, — როცა ზოგიერთი ხელმძღვანელი არასწორ გზას ადგება, კარგავს თავისი თავისადმი კონტროლს, არსებითად ობივატელობის ჭაობში ეშვება და თავისი მოქმედებით სახელს იტეხს როგორც ხელმძღვანელი, როგორც კომუნისტი.

ავიღოთ, მაგალითად, თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის ყოფილი დირექტორი ვ. გომარელი, საქკონსერვტრესტის ყოფილი მმართველი პ. საყვარელიძე, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ყოფილი დირექტორი ა. მიქელაძე, რომლებიც გაიხრწნენ, ავტორიტეტი დაკარგეს და სამართლიანი სასჯელი მიიღეს.

უადგილო არ იქნება ვთქვათ ისიც, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი, ამა თუ იმ მიზეზით თანამდებობიდან განთავისუფლებული, უარს ამბობს იმუშაოს იქ, სადაც გზავნიან.

ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, ცოტა როდი გვაქვს. პარტიის რაიკომებმა ხელი უნდა მოჰკიდონ იმ კომუნისტების შრომითს მოწყობას, რომლებიც დროებით არ მუშაობენ, იმათ წინააღმდეგ კი, ვინც შეთავაზებულ სამუშაოს თავს არიდებს, პარტიული ორგანოს გადაწყვეტილებას არ ასრულებს, — მიიღონ პარტიის წესდებით გათვალისწინებული ზემოქმედების ღონისძიებანი.

კადრების შერჩევისა და განაწილების არასწორი სტილი დამკვიდრდა აფხაზეთში, რისთვისაც უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრება პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს, პირადად საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ბღაჟბას, რომელმაც დაუშვა მთელი რიგი შეცდომები კადრებთან მუშაობაში. ეს არასწორი მოქმედება იმით გამოიხატება, რომ კადრების შერჩევისას მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნათესაური, მეგობრული ურთიერთობა. იყო შემთხვევები, რომ კადრებს აწინაურებდნენ ვიწრო-ერონული ნიშნების მიხედვით, რის შედეგადაც მთელ რიგ პოსტებზე გაძრომას ახერხებდნენ თავიანთი საქმიანი თვისებებით უვარგისი ადამიანები, რომლებიც ნდობის ღირსნი არ იყვნენ, ხოლო ხშირად ვიგინდარებიც. ასეთ მოვლენებს წავაწყდით სოხუმში, ტყვარჩელსა და ოჩამჩირეში.

უნდა ვიფიქროთ, რომ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გამოასწოროს მდგომარეობა კაორების სწორად შერჩევისა და აღზრდის საქმეში. სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში.

კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ ოსეთში. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, ჯავის რაიონი. მთელი რიგი წლების განმავლობაში რაიონის სოფლის მეურნეობა ძლიერ ჩამორჩენილია. 1957 წელს 53 კოლმეურნეობიდან შრომადღეებზე ფული არ გაუნაწილებია 37 კოლმეურნეობას, 15 კოლმეურნეობას კი არ გაუნაწილებია მარცვლეული. 1958 წელს ფული არ გაუნაწილებია 43 კოლმეურნეობას, ხოლო მარცვლეული — 18 კოლმეურნეობას. ამ რაიონში პირადი მეურნეობა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე საზოგადოებრივი. ასეთი მდგომარეობა ნათლად მიგვითითებს, რომ რაიონში კადრების შერჩევასა და აღზრდაში ყველაფერი რიგზე არ არის.

ოლქში ხშირად ადგილიდან ადგილზე გადაჰყავთ მუშაკები მათი საქმიანი თვისებების, ნიჭის, ხელმძღვანელობის უნარის გაუთვალისწინებლად. აქედან კი, რა თქმა უნდა, კარგი არაფერი გამოდის.

პარტიის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. სანაკოევა შედარებით მოკლე ვადაში ოთხჯერ დააწინაურეს სხვა სამუშაოზე და ოთხჯერვე დაბრუნდა იმავე ადგილზე.

ოლქში სულ ოთხი რაიონია, და, მიუხედავად ამისა, პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები ძალიან იშვიათად არიან ხოლმე რაიონებში, განსაკუთრებით კი ჩამორჩენილ რაიონებში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ოლქს სათანადო დახმარება არ ეწეოდა, მაგრამ ადგილზე ეს დახმარება ჯეროვნად ვერ გამოიყენეს, ამას მოწმობენ ხარვეზები კადრების შერჩევაში, დაწინაურებასა და აღზრდაში.

საჭიროა უკეთ შევისწავლოთ საქმის ვითარება ოლქში, განვიხილოთ ეს საკითხი, მივიღოთ და განვახორციელოთ სათანადო ღონისძიებანი.

ცენტრალური რესპუბლიკური ორგანოების სისტემაში დიდი ადგილი უჭირავს, რა თქმა უნდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატს. იგი დიდ მრავალმხრივ მუშაობას ეწევა, მაგრამ იქაც არის ზოგიერთი ხარვეზი კადრების შერჩევასა და დაწინაურებაში. ზოგიერთ მუშაკებს თვი შეუცვლელად მიაჩნიათ, ვერ შეუგნიათ, რომ დადგა დრო ადგილი დაუთმონ უფრო ინიციატივიან მუშაკებს. ეს მუშაკები მაგრად ებღაუჭებიან თავიანთ სამსახურებრივ ადგილებს, ამით კი საქმეს ზიანი მოსდის. უეჭველია, მათ შორის არიან დამსახურებული ადამიანები, რომლებმაც ყოველმხრივ კარგად იმუშავეს, და წინადადებას ვაძლევთ მათ დაისვენონ, პენსიაზე გავიდნენ, მაგრამ ისინი ამბობენ, როგორმე კიდევ ვიმუშავებთო. მაგრამ „როგორმე“ მუშაობა არ შეიძლება. საჭიროა მუშაობა არა „როგორმე“, არამედ ინიციატივით, ძალების სრული დაძაბვით.

კადრების ცუდი შერჩევის პირდაპირი შედეგია ბოროტმოქმედებათა და სხვა უხეშ დარღვევათა მრავალი ფაქტი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობაში. წინასწარი მონაცემების, 1957-58 წლების განმავლობაში საქართველოს წყალთა მეურნეობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტში სხვადასხვა მაქინაციების გზით მითვისებულია 1,5 მილიონი მანეთი.

ამ სამინისტროს სისტემაში დამკვიდრდა მავნე პრაქტიკა, როცა საინჟინრო-ტექნიკურ თანამდებობებზე წყალთა მეურნეობის სპეციალისტების ნაცვლად ისეთ პირებს ნიშნავდნენ, რომლებსაც ჰიდროტექნიკასთან და მელიორაციასთან საერთო არა აქვთ რა.

თქმა არ უნდა, ამხანაგებო, რომ ყველა ამ სამარცხვინო მოვლენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ საჭიროა მიიღონ სათანადო ღონისძიებანი წყალთა მეურნეობის სამინისტროში წესრიგის დასამყარებლად.

კომუნისტური მშენებლობისადმი სწორი ხელმძღვანელობა, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების, მთელი ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინურ წრთობაზე, მათს უნარზე იხელმძღვანელონ თეორიით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტისას.

ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობის პერიოდში „...მთელი საქმე **პრაქტიკაა,** რომ დადგა სწორედ ის ისტორიული მომენტი, როდესაც თეორია იქცევა პრაქტიკად, სულდგმულდება პრაქტიკით, სწორდება პრაქტიკით, მოწმდება პრაქტიკით“.

სრულფასოვანი, მომწიფებული ხელმძღვანელი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, ვინც ყოველდღიურად მუშაობს თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაზე, დაუცხრომლად ავსებს თავის ცოდნას მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში. რაც უფრო მაღალია სახელმწიფო და პარტიული მუშაობის ყოველი დარგის კადრების პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია მათი საქმიანობის შედეგები.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სუსტად ზრდიან კადრებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უსასტიკესად დაცვისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ხშირად შემარიგებლურად ეპყრობიან იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც იჩენენ კერძოსეკუთრულ ტენდენციებს, კუთხურ განწყობილებებს.

ის მუშაკი, რომელიც ცალკეული კოლმეურნეობის, უწყების, რაიონის, ოლქის ან რესპუბლიკის ინტერესთა ვიწრო წრეში იკეტება და ვერ ხედავს მთელ ჩვენს ქვეყანასი უდიდესი შემოქმედებითი შრომის მთელ მასშტაბსა და გაქანებას, დიდ ზიანს აყენებს მთელ საერთო საქმეს.

ცალკეული კონკრეტული საკითხებია გადაწყვეტისას კუთხურობის, ვიწრო-უწყებრივი მიდგომის გამოვლინება არასწორ, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება — კადრების აღზრდის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი.

საჭიროა მნიშვნელოვნად ავაღლოთ თავიდან ბოლომდე პარტიული მომთხოვნელობა კადრებისადმი, ყველა ღონისძიებით განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღვზარდოთ კადრები, ყველა კომუნისტი, დავალებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

თავის საბოლოო სიტყვაში პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი, რომ შვიდწლედის წარმატებას ადამიანები გადაწყვეტენ. ჩვენი რესპუბლიკის კადრები საქმით უპასუხებენ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, იჩენენ იმ ამოცანების ღრმა, ნამდვილ პარტიულ, სახელმწიფოებრივ გაგებას, რომლებიც მათ წინაშე დგას კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ჩვენი მრეწველობის მუშაკები საქმიანად ეხმაურებიან ვლადიმირის და სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოების საწარმოთა შესანიშნავ თაოსნობას, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა. ამ საწარმოებში გაჩაღდა ბრძოლა შვიდწლედის დავალებების მოკლე ვადებში და უმცირესი კაპიტალური დანახარჯებით შესრულებისათვის.

ჩვენი კადრები ინიციატივას იჩენენ წარმოების ახალი რეზერვების გამონახვაში. მაგალითად, ძალიან ძვირფასი იყო ინიციატივა კასპის ცემენტის ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა, რომლებიც ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახალ მბრუნავ ღუმელს. შინაგანი რესურსების მობილიზაციის, ამ ახალი მძლავრი ღუმელის აგების გზით მეცემენტეები დაეხმარნენ სახელმწიფოს იმაში, რომ დაეზოგა დიდი სახსრები, რომლების დახარჯვაც ნავარაუდევი იყო ქარხნის რეკონსტრუქციაზე.

ეს სწორედ ეს არის, ამხანაგებო, ნამდვილი, ბოლშევიკური ინიციატივა. სწორედ ეს არის ახლის ის გრძნობა, რომლითაც უნდა განმსჭვალოს მთელი ჩვენი კადრების მუშაობა. ეს ახლის გრძნობა თუ არა გაქვს, ისე არ შეიძლება წარმატებით წყვეტდე დიდ ამოცანებს ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის რომელ დარგშიც უნდა იყოს.

ამხანაგებო! რას ნიშნავს სწორად შეარჩიო კადრები, ვთქვათ, ჩვენი მრეწველობისათვის, ჩვენი საწარმოებისათვის? ეს ნიშნავს მეთაურთა პოსტებზე შეარჩიო პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომლებსაც თავიანთი მუშაობა წარმოებაში ვერ წარმოუდგენიათ ისე, რომ მჭიდრო კავშირი არა ჰქონდეთ ნოვატორებთან, მეცნიერებასთან, რომ ნამდვილად არ იბრძოდნენ საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

ჩვენში ჯერ კიდევ არის ჩვენი მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში მეთაურთა პოსტებისათვის კადრების არასწორად შერჩევის საკმაოდ ბევრი ფაქტი. ცუდი მდგომარეობაა ადგილობრივი მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებში, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სამმართველოებში, კვების მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, სარეწაო კოოპერაციის სისტემაში და სხვ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს სისტემაში იმ მუშაკთა რიცხვი, რომლებსაც საინჟინრო-ტექნიკური თანამდებობანი უჭირავთ, 25 პროცენტს აღწევს, მსუბუქ მრეწველობაში — 20 პროცენტს. დამახასიათებელია ასეთი ფაქტიც: მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა 25 დირექტორიდან მხოლოდ ორს აქვს სპეციალური განათლება, მრეწველობის ამ დარგის 11 მთავარ ინჟინერს კი საშუალო განათლება აქვს.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თანამდებობანი უჭირავს 508 კაცს, რომლებსაც სპეციალური განათლება არა აქვთ, 60 მთავარი ინჟინერიდან კი მხოლოდ ორმოცდაოთხია სპეციალისტი. საავტომობილო მეურნეობის ბევრი ინჟინერი იმის გამო, რომ სპეციალობის მიხედვით ვერ მოწყობილა სამუშაოზე, იძულებულია სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მუშაობდეს.

საინჟინრო-ტექნიკურ თანამდებობებზე კადრების განაწილების საქმეში განსაკუთრებით არასწორი პრაქტიკა დამკვიდრდა საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში. ადგილობრივი მეურნეობის რაიონული და საქალაქო კომბინატების დირექტორთა და ხელმძღვანელთა საერთო რიცხვიდან 50 პროცენტზე მეტია პედაგოგი, აგრონომი და სხვ. **(სიცილი).** ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ადგილობრივი მრეწველობის ბევრ საწარმოში ტექნიკური პროგრესის საკითხებზე არ მუშაობენ. აქ გამეფებულია ნამდვილი კუსტარულობა, ხოლო კუსტარულობა ჩვენს დროში სიკვდილს უდრის.

ბევრი არასპეციალისტი მუშაობს საინჟინრო-ტექნიკურ თანამდებობებზე თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სისტემაში. ამ სამმართველოში სამკერვალო ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელის თანამდებობაზე სამთო ინჟინერი დანიშნეს, საგალანტერეო-სამკერვალო ფაბრიკის მთავარ ინჟინრად — აგრონომი, საკარიერო მეურნეობის უფროსად — პედაგოგი, ავეჯის ფაბრიკის საკრიალებელი საამქროს გამგედ — აგრეთვე პედაგოგი. ცხადია, აქ საქმე გვაქვს ნაცნობობასა და შინაურობასთან.

კადრების არასწორი შერჩევა და განაწილება ცალკეულ შემთხვევებში სახალხო მეურნეობის შეფერხებასა და მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს იწვევს. აი დამახასიათებელი მაგალითი. 1949 წელს რესპუბლიკაში შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიურო, რომელმაც თავისი საქმიანობის პირველ პერიოდში გარკვეული მუშაობა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის, ჩაის პლანტაციების მოვლის და სხვ. მექანიზაციისათვის მანქანების შესაქმნელად. მაგრამ შემდგომ პერიოდში საკონსტრუქტორო ბიუროს მთელი რიგი სამუშაოები ბოლომდე ვერ მიიყვანა, და მანქანების შექმნისა და მოდერნიზაციისათვის გაღებული დიდძალი სახსრები, შეიძლება ითქვას, წყალშია გადაყრილი.

სპეციალური სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს ცუდი მუშაობის ძირითადი მიზეზი, საკონსტრუქტორო სამუშაოთა ცუდ ორგანიზაციასა და დაბალ შრომითსა და საწარმოო დისციპლინასთან ერთად კადრების არასწორი შერჩევა იყო.

ამჟამად მიღებულია ღონისძიებანი სპეციალური სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ნაცვლად იმისა, რომ გამოასწოროს სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შეცდომები, ზოგჯერ თვითონ არღვევს კადრების შერჩევისა და განაწილების დაწესებულ პრინციპს, სამუშაოზე გზავნის ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ სამუშაოზე მიაწყოს ისინი, ამასთან წინასწარ იცის, რომ ისინი თავს ვერ გაართმევენ დავალებულ საქმეს. ეს სრულიად არასწორი პრაქტიკაა.

არის ფაქტები, როცა ზოგიერთი პარტიული კომიტეტი არათუ არ იღებს გადამწყვეტ ზომებს შემოწმებული და პატიოსანი მუშაკებით იმ პირთა შესაცვლელად, რომლებმაც წინათ გაიტეხეს სახელი, არამედ მფარველობს მათ. მაგალითად, პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტმა სრულიად უსაფუძვლოდ აღადგინა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების რვა მუშაკი, რომლებიც დათხოვნილი იყვნენ ყალბისმქნელობისათვის, ნასამართლობის ფაქტების დაფარვისათვის, გაფლანგვა-დატაცებისათვის.

უკანასკნელ წლებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების უზრუნველსაყოფად უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამ

კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების დასასრული

ბეგის, ბოგდანოვკის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში ძალიან ცოტაა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები.

დიდხანს არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნილ ოცდაათასელთაგან ცოტანი დარჩნენ თავიანთ ადგილებზე.

ამხანაგებო! უნდა ითქვას, რომ ჩვენში საკმაოდ ცუდი მდგომარეობა შეიქმნა კოლმეურნეობათა, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების მხრივ. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და რაიონში, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობაში დამყარდა არანორმალური თანაფარდობა საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალსა და კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პირადი მეურნეობებიდან მიღებულ შემოსავალს შორის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მთელ რიგ რაიონებში უხეშად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესოგის მოთხოვნებს საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის მხრივ და განსაკუთრებით პირად მეურნეობაში პირუტყვის ყოლის ნორმების მხრივ. ასეთ დარღვევათა შედეგად ცალკეული კოლმეურნეები ან სულ არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში, ან შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს არ გამოიმუშავებენ ხოლმე. ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელებისათვის თუმცა კარგად არის ცნობილი ეს უარყოფითი და ჩვენი მეურნეობისათვის მავნე მოვლენა, მაგრამ ისინი გვერდს უვლიან მას და ამით აუარესებენ შექმნილ მდგომარეობას.

შარშან ჩვენ ვურჩიეთ რაიონებს და ისინი შეუდგნენ საკარმიდამო ნაკვეთების შემცირების საკითხთა შესწავლას. ზოგიერთმა რაიკომმა უკვე მიიღო გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამას წინათ შექმნა დიდი ავტორიტეტული კომისია, რომელიც მოვალეა ვრთხელ კიდევ შეისწავლოს ეს საკითხი და შესაბამისად მომზადოს რეკომენდაცია კოლმეურნეობებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების შესახებ.

უკანასკნელ ხანს კარგი ინიციატივა გამოიჩინეს მთელი რიგი სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეებმა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება კოლმეურნეობებს გადასცენ თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთები ჩაის პლანტაციებით. კოლმეურნეობა „შრომაში“, სადაც თამჯდომარეა ამხ. ორაგველიძე, ეს საკითხი უკვე დასმულია: კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს გადასცენ ეს პლანტაციები საზოგადოებრივ მეურნეობაში.

ასეთი მდგომარეობაა მეურნეობის სხვა დარგებშიც. მაგალითად, ჩვენში კარგად ვერ არის საზოგადოებრივი და პირადი მეცხოველეობის თანაფარდობის საქმე.

საჭიროა ისე ვუძღვებოდეთ საზოგადოებრივ მეურნეობას, მის ყველა დარგს, რომ კოლმეურნეობები, საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეთა არსებობის ძირითადი წყარო იყოს.

ამხანაგებო! რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების მოსამზადებლად. საკმარისია ითქვას, რომ მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 20.500 სპეციალისტი — ინჟინრები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, ექიმები, ეკონომისტები, იურისტები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები და ა. შ.

მიუხედავად ამისა, კადრების მომზადებასა, შერჩევასა და განაწილებაში არსებითი ნაკლოვანებებია.

უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ზოგჯერ ვხედებით მუშაკებს, რომლებიც თავიანთი საქმიანი, მორალური და პროფესიული თვისებებით უვარგისი არიან აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ სამუშაოდან იქნა მოხსნილი და სასტიკ პარტიულ პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ამხ. ციხისთავი. განათლების სამინისტრომ იცოდა, რომ ციხისთავი წარსულშიც უშვებდა ამორალურ ქცევას, ფინანსური დისციპლინის უხეშ დარღვევებს, მაგრამ რატომღაც შესაძლებლად მიიჩნია მისი შემდგომი ყოფნა უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის პოსტზე.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ჩვენში მთლად კარგად ვერ არის საქმე ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოდ გაგზავნისა და ადგილებზე მათი შენარჩუნების მხრივ.

არსებითი ნაკლოვანებებია მეცნიერებათა აკადემიის მუშაობაში. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების სწორ აღზრდასა და განაწილებას. მაგრამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და პარტიული ბიურო საკმაოდ ვერ მუშაობენ ამაზე.

სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელების საქმიანობაზე უარყოფითს გავლენას ახდენს შეთავსება სამსახურში, მათი ზედმეტად დატვირთვა სხვადასხვა საზოგადოებრივი დავალებებით, კადრების შერჩევისას ნათლიმამობის გამოვლინების ფაქტები, რასაც კიდევ ვხედებით და რაც აგრეთვე წარმოადგენს დაბრკოლებას მეცნიერების განვითარებაში. ვფიქრობ, რომ არ შეიძლება დაშვებულ იქნას ისეთი მდგომარეობა, როგორიც არის, მაგალითად, ისტორიის ინსტიტუტში, სადაც შინაურულობის ფაქტებია. ასეთ პირობებში მუშაობის რაიმე პრინციპულობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები ჯერჯერობით სუსტად ართმევენ თავს კადრების განაწილებისა და აღზრდის ამოცანებს, ქმედითს დახმარებას ვერ უწევენ ადმინისტრაციას დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის კოლექტივის მობილიზაციაში. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ცალკეულ მეცნიერებს შორის ადგილი აქვს ჯინკლაობისა და ინტრიგების სამარცხვინო ფაქტებს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ მეცნიერულ მუშაობაზე. **(ხმები ადგილებიდან: სწორია).** ჰო და, თუ სწორია, მოდით შევთანხმდეთ, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დაიწყონ გადამწყვეტი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, მოდით ვებრძოლოთ ამ ბოროტებას.

კადრებთან დიდ მუშაობას უნდა ეწეოდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, რომლის სისტემაში მუშაობს თითქმის 23.000 კაცი, რომელთაგან ხელმძღვანელი და შემოქმედებითი პერსონალია 8.000-ზე მეტი კაცი.

კადრებთან მუშაობის მხრივ კულტურის სამინისტროს სისტემაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ჯერ კიდევ ბევრია შემთხვევა, როცა ხელმძღვანელ შემოქმედებითს თანამდებობებზე მუშაობენ პირები, რომლებსაც არა აქვთ სათანადო სპეციალური განათლება და მუშაობის გამოცდილება, რაც, უეჭველია, უარყოფითს გავლენას ახდენს სამინისტროს ცალკეული რგოლების მუშაობაზე.

ამხანაგებო! ადამიანები, კადრები ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოების უძვირფასესი კაპიტალია. ისინი პატიოსანსა და სათუთი მოპყრობის ღირსნი არიან. მუშაკებისადმი ყურადღებიანი, გულისხმიერი დამოკიდებულება კომუნისტური პარტიის უცილობელი კანონია, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვლინდება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის ძვირფასია თვითეული კეთილსინდისიერი, პატიოსანი მუშაკი. მაგრამ პატიოსანი, გამოცდილი, კვალიფიციური კადრებისადმი სათუთი დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ხელით უნდა ვატარებდეთ, განუწყვეტლივ ვაქებდეთ, კრიტიკისგან ვიცავდეთ, მათთვის სათბურის პირობებს ვქმნიდეთ. ვაფასებდეთ კადრებს — ეს, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ სწორად გამოვიყენოთ ისინი სამუშაოზე, შევქმნათ პირობები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მათ სრულად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და უნარი. ამაზე მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი, ამაზე არაერთხელ მიუთითებია ჩვენს პარტიას.

საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო უნდობლობას, ქედმაღლურ დამოკიდებულებას ახალგაზრდა კადრებისადმი, უფრო გაბედულად ვაწინაურებდეთ ახალგაზრდა, ნიჭიერ ადამიანებს პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის პასუხსაგებ უბნებზე და, რაც მთავარია, მტკიცედ, მოთმინებით ვზრდიდეთ მათ, ვასწავლიდეთ შვიდწლედის კონკრეტული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტის ხელოვნებას, ვახორციელებდეთ ძველი და ახალგაზრდა კადრების შეხამების ხაზს.

კადრებთან მთელი მუშაობა უნდა ავიყვანოთ უფრო მაღალ, პარტიის XXI ყრილობის მიერ წამოყენებული ახალი ამოცანების შესაბამის დონეზე. საჭიროა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ კადრებში გვყავდეს მეურნეობის სხვადასხვა დარგის კარგად მცოდნე მეტი სპეციალისტი. საჭიროა პერიოდულად ვამოწმებდეთ და ვისმენდეთ პარტიულ კომიტეტებში, სამინისტროებსა და უწყებებში ანგარიშებს კადრებთან მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში კადრების შერჩევისა და დაწინაურებისათვის ზუსტად უნდა ხელმძღვანელობდნენ ლენინური პრინციპით — აფასებდნენ კადრებს საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით, მათი საქმიანობის შედეგების, ორგანიზატორული უნარისა და ცოდნის მიხედვით. საჭიროა მტკიცედ ვიბრძოდეთ ამ პრინციპების დამახინჯების წინააღმდეგ, კერძოდ, კუთხურობის, შინაურულობის, პირადი მეგობრობის პრინციპის მიხედვით კადრების შერჩევის წინააღმდეგ.

კადრების აღზრდასთან და განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები მიზანშეწონილია განვიხილოთ პარტიული კომიტეტების პლენუმებზე და პარტიული აქტივის კრებებზე, შევიმუშაოთ პრაქტიკული ღონისძიებანი კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საჭიროა, რომ მთელი ჩვენი კადრები მუდამ იყვნენ შიგ ხალხში, განამტკიცებდნენ თავიანთ კავშირს მასთან, ეყრდნობოდნენ მის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას.

კადრებთან მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს ორგანიზაციები, რომლებიც სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობენ, გადაჭრით აღმოფხვრიან ნაკლოვანებებსა და შეცდომებს კადრებთან მუშაობაში, აამაღლებენ ხელმძღვანელი კადრების როლსა და პასუხისმგებლობას შვიდწლიანი გეგმის ამოცანათა განხორციელებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანათა შესახებ ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

პირველი გამოდის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. **გ. ჟამიერაშვილი.** იგი ამბობს, რომ, ასრულებენ რა სკკპ XXI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რუსთავის მეტალურგებმა გააჩაღეს ფართო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის პირველი წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია აუმჯობესებს ადამიანებთან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. № 2 ბრძმედის ოსტატის არჩილ ძმაშვილის თაოსნობით მეტალურგებს შორის გაჩაღდა მოძრაობა კომუნისტური შრომის ბრიგადების შესაქმნელად. ამჟამად ქარხანაში 13 ბრიგადა, ცვლა, უბანი, აგრეგატი იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელწოდების საპატიო უფლებისათვის.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით მუშაობს შვიდწლედის პირველი წლის დავალების შესრულებაზე. პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით. რუსთავის მეტალურგებმა სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა შორის შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს და მათ გადაეცათ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. კოლექტივი ცუდად როდი მუშაობს მეორე კვარტალშიც: აპრილისა და მაისის გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით.

ამ დღეებში მეტალურგები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს. მათ იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც ვადამდე შეასრულეს. ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით მათ გამოუშვეს დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი. შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 5 მილიონზე მეტი მანეთი.

უკანასკნელ ხანს ქარხნის დირექციამ და პარტკომმა გააძლიერეს მუშაობა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდისა და დაწინაურებისათვის. ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ინჟინერი და ტექნიკოსი გადაყვანილია მუშაობის პასუხსაგებ უბნებზე. მაგალითად, მილსაგლინავი საამქროს უფროსად დაწინაურებულია ახალგაზრდა სპეციალისტი ამხ. წერეთელი. მან კარგი საწარმოო სკოლა გაიარა „140“ დგანის მვალცავი მუშიდან უდიდესი საამქროს უფროსამდე. საგლინავი საამქროს უფროსად დანიშნულია ინჟინერი ამხ. ზასლავსკი. ამ ცოტა ხნის წინათ საბრძმედე საამქროს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დაწინაურებულ იქნა ახალგაზრდა კომუნისტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ამხ. მინდელი. მის გვერდით საბრძმედე საამქროს რთულ პროცესებს მართავს ბევრი სხვა ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც მუშაობენ ოსტატებად, ცვლების უფროსებად. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ქარხანაში შექმნილია და მუშაობს სასწავლო კომბინატი. ყველა საამქროში მოწყობილია ოთახები ტექნიკური მუშაობისათვის. ახალგაზრდა მუშებს კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოცდილ კადრის მუშებს მივამაგრებთ ხოლმე. მოქმედებს ოსტატთა ორწლიანი კურსები. ჩვენი მეტალურგები იმაღლებენ ტექნიკურ და ზოგადსაგანმანათლებლო დონეს მუშათა ახალგაზრდობის სკოლებში, საღამოს ტექნიკუმში, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

— ვსარგებლობ შემთხვევით, — ამბობს ამხ. ჟამიერაშვილი, — და მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დარგში არსებულ სიძნელეებზე. 1956 წლიდან არსებობს ინსტიტუტი „ავტომატპროტომი“, რომელიც მოწოდებულია პირველ რიგში ჩვენი ქარხნისათვის მუშაობდეს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტმა უკვე აითვისა 700 ათასი მანეთი, მას არსებითად არც ერთი კვანძის ავტომატიზაცია არ მოუხდენია. მინდა ვთქვა აგრეთვე იმის შესახებ, რომ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის გეგმა მტკიცდება და ქარხანას ეძლევა წარმოებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის დამტკიცების შემდეგ. ამის შედეგად ზოგიერთი დავალება ახალი ტექნიკის დარგში მატერიალური რესურსებით განუმტკიცებელი რჩება.

— ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, — თქვა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ტაკიძემ,** — უკანასკნელ ხანს განახორციელა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ახალი კადრების აღზრდისა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურების დარგში. ძირითად ყურადღებას ვაქცევთ ავტოქარხანას და სხვა მსხვილ სამრეწველო საწარმოებს. ქარხნებში გაიზარდნენ ახალგაზრდა კადრები, რომლებიც საქმის ღრმა ცოდნით წყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტი მზრუნველობას იჩენს პარტიული ორგანიზაციების მდივნების კადრების აღზრდისათვის. მათ დასახმარებლად პერიოდულად ეწყობა სემინარები პარტიული მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის ცალკეულ საკითხებზე. განმტკიცდა საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორების კავშირი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან.

პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილია შტატგარეშე ინსტრუქტორების ინსტიტუტი. შტატგარეშე ინსტრუქტორებთან ერთად, ისინი კი 26 კაცი გვყავს, პარტიული კომიტეტის სხვადასხვა დავალებებს 100-ზე მეტი აქტივისტი ასრულებს.

ქალაქში შექმნილია ფართო ქსელი მოწინავე გამოცდილების სკოლების, წრეებისა და სემინარებისა, რომლებშიც კადრები იმაღლებენ ტექნიკურ და პრაქტიკულ ცოდნას. ორწლიან ეკონომიურ სკოლაში, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტთან მუშაობს, მეცადინეობენ საწარმოთა ინჟინრები, საამქროთა უფროსები. პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

— კადრებთან მუშაობაში, — ამბობს ამხ. ტაკიძე, — ჩვენ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებებიც, და ჩვენ ენერგიულად ვიბრძვით მათი აღმოფხვრისათვის.

პლენუმზე გამოსულმა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **მ. ბლაუბამ** სწორად ცნო კრიტიკა პარტიის საოლქო კომიტეტისა და პირადად თავისი მისამართით. მან თქვა, რომ ამ პლენუმს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

— ძალიან კარგია, — თქვა ამხ. ბლაუბამ, — რომ ჩვენ ამკარად და ამხანაგურად მიგვითითეს ჩვენს ნაკლოვანებებზე. მე, როგორც პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვიღებ მაცოცხლებელ კრიტიკას და გავითვალისწინებ მას ჩემს შემდგომ მუშაობაში.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის შემდეგ, აფხაზეთის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბნების მომზადებული კადრებით განმტკიცებისათვის. გაუმჯობესებულია ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. გაიზარდა უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა რიცხვი. აფხაზებიდან, ქართველებიდან და რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიდან გაიზარდა საკმაოდ ბევრი სპეციალისტი, ნიჭიერი ორგანიზატორი. ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ კადრებთან პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებებზე მიგვითითა საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, როგორც ამის შესახებ თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, კვლავ პრინციპულად და მზრუნველობით მიგვითითა ჩვენს სერიოზულ შეცდომებზე კადრების შერჩევასა, განაწილებასა და აღზრდაში. რაც შეეხება სამუშაოზე ადამიანების მოწყობას ნათესაური პრინციპების მიხედვით, ამას მართლაც ჰქონდა ადგილი პარტიის ცალკეულ რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში და საოლქო კომიტეტში.

საჭიროა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ყველაფერი როდი გაგვიკეთებია რაიონული რგოლის კადრების განსამტკიცებლად. პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების 63 ინსტრუქტორს შორის მხოლოდ სამია აგრონომი და ოთხი — სხვა სპეციალისტი. განსაკუთრებით ბევრი შეცდომებია დაშვებული კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევისას. ოცდაათათასელთა ანგარიშში სოფლად გაიგზავნა 31 კაცი, მათგან დარჩა 11, მაგრამ იმათაც არა აქვთ სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან პარტიული ხელმძღვანელები, რომლებიც არ იჩენენ მზრუნველობას ახალგაზრდა კადრების ზრდისათვის, თავს არ იწუხებენ ნიჭიერი მუშაკების აღზრდისა და დაწინაურებისათვის. ზოგიერთ პარტიულ კომიტეტსა და საეკონომიო ხელმძღვანელებს დაუსრულებლად გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე მუშაკები, რომლებსაც უკვე არაერთხელ გამოუჩენიათ თავიანთი უუნარობა, დაუშვიათ სერიოზული შეცდომები, ჩაუფუშავთ მათთვის მინდობილი საქმე. ასეთი ფაქტებია, მაგალითად, ოჩამჩირის რაიონში. როგორც ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ მოხსენებაში აღნიშნა, რაიონის ხელმძღვანელები ყოველთვის როდი ასრულებენ კადრების შერჩევისა და განაწილების პრინციპებს, რომლებიც შემუშავებულია პარტიის მიერ.

ჩვენში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობაში ყოველთვის როდი ითვალისწინებენ მოსახლეობის მრავალეროვან შემადგენლობას, ცოტა იკითხება ლექციები და მოხსენებები პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებებზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ცალკეული, მე ვიტყოდი, ერთეული ელემენტები, რომლებიც მხოლოდ აფხაზების „კონსოლიდაციას“ მოითხოვენ. მაგრამ აფხაზებს ეს არ ესაჭიროებათ, ისინი ძალიან მეგობრულად ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ თავიანთ ძმებთან — ქართველებთან და ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის სხვა ხალხებთან. ჩვენი მოვალეობაა უზრუნველვყოთ ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორი და განუხრელი განხორციელება, დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ და ვავითარებდეთ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, გადაჭრით ვიბრძოდეთ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ.

— პარტიის საოლქო კომიტეტი, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, — ამბობს ამხ. ბლაუბა, — იღებენ ზომებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოსაფხვრელად. ხოლო რაც შეეხება ოჩამჩირის რაიკომის ხელმძღვანელობასა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის არასწორ გადაწყვეტილებებს, პარტიის საოლქო კომიტეტი სწავლობს ამ საკითხებს და ისინი უახლოეს დროში იქნება განხილული ბიუროზე.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. კვარაცხელიამ** პლენუმზე თქვა, რომ ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა 103,5 პროცენტით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების 5 თვის გეგმა და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს დაახლოებით 120 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს წარმატებები მიღწეულია იმის მეოხებით, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ზრუნვა კადრებისათვის, მათი ზრდისა და სრულყოფისათვის.

ფოთში ელექტროტექნიკური ქარხანა შენდება, მაგრამ მისი აგება ნელა მიმდინარეობს, რადგან მშენებლობები დროზე არ მარაგდება საჭირო დანადგარებითა და მოწყობილობით. უფრო მეტი, ქარხანას ჯერჯერობით არა აქვს ზოგიერთი უბნისა და კვანძის ტექნიკური დოკუმენტაცია.

ამასთან დაკავშირებით ამხ. კვარაცხელია აკრიტიკებს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, რომელიც ჯეროვნად არ ზრუნავს ახალგაზრდა საწარმოთა საჭიროებებისათვის, კადრებისათვის.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. **ე. ხარაძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას.

— კადრების საკითხი, — თქვა მან, — მნიშვნელოვანწილად ახალგაზრდობის საკითხია, იმ ახალგაზრდობისა, რომელსაც ასწავლის და ზრდის ჩვენი ქვეყანა, ამზადებს მისგან სპეციალისტებს.

ამასთან დაკავშირებით უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების წინაშე ამჟამად მდგომი ყველა პრობლემიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. სწორედ ეს ამოცანა განსაზღვრავს ყველა იმ ღონისძიების შინაარსს, რომლებიც მიმართულია უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნისა და სრულყოფისაკენ.

შემდეგ ამხ. ხარაძე ლაპარაკობს სწავლების შეერთებაზე ნაყოფიერ შრომასთან, იმაზე, რომ ძირითადი გზა, რომლითაც წავა უმაღლესი სკოლის განვითარება, — ეს არის საღამოს და დაუსწრებელი სწავლების გზა.

შემდეგ ამხ. ხარაძე ლაპარაკობს, რომ წარმატების საშუალო ნიშნის გადიდებისადმი მისწრაფების გამო უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი იჩენს ცოდნისადმი მოთხოვნის შესუსტების ფრიად საშიშ ტენდენციას. ეს იმდენად დიდი საფრთხეა, რომ ძნელია მისი გადაჭარბებით შეფასება.

— მე, — აცხადებს იგი, — ჩვენი უმაღლესი სკოლის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე ამოცანად მიმაჩნია ის, რომ სრულად და მთლიანად აღვადგინოთ მასწავლებელთა შორის კარგი აკადემიური ტრადიციები თავგამოდებით გადიდებული მოთხოვნის, უწინარეს ყოვლისა საკუთარი თავისადმი და ამასთან ერთად აღსაზრდელი ახალგაზრდობისადმი.

პლენუმზე გამოვიდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ჯ. ცაგარეიშვილი.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად და ბოლშევიკურად გამოააშკარავა სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მიერ კადრებთან მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებები და ხარვეზები. — ამ კრიტიკას, — ამბობს იგი, — სავსებით ვიღებთ და პირობას ვაძლევთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ ისინი აღმოფხვრილ იქნება.

ოლქში მუშაობს უმაღლესი განათლების მქონე 1935 სპეციალისტი. ეს დაახლოებით სამჯერ მეტია, ვიდრე ათი წლის წინათ იყო. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ზრდისა, ჩვენი ოლქი მაინც კიდევ მწვავედ განიცდის სპეციალისტების, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სამედიცინო დარგის მუშაკებისა და მშენებლების ნაკლებობას.

შემდეგ ამხ. ცაგარეიშვილი შეეხო კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლების საკითხებს, მათ მიერ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლის, ხელმძღვანელი კადრებით კოლმეურნეობათა განმტკიცების საკითხებს. იგი ამბობს, რომ კოლმეურნეობათა 184 თავმჯდომარიდან 102-ს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება. კოლმეურნეობათა 50-მდე თავმჯდომარე ამ თანამდებობაზე მუშაობს 5-დან 10 წლამდე და უფრო მეტ ხანს.

შეეხო რა მასებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს, ამხ. ცაგარეიშვილმა თქვა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი და რაიკომები სუსტად აზორკიელებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას, ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ მათ. ამიტომ ბევრ კოლმეურნეობაში პარტიული ორგანიზაციები ჯეროვნად არ ჩასდგომიან სათავეში ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას.

ზოგიერთი საოლქო ორგანიზაციის მუშაობაში დღემდე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდები. პასუხისმგებელ მუშაკთა ნაწილი კაბინეტებში ზის და ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას ცვლის მიწერ-მოწერით, ტელეფონის რეკვით. პარტიის საოლქო კომიტეტს ბოლომდე არ აღმოუფხვრია თავისი პრაქტიკიდან პარტიის მიერ დაგმობილი მეთოდი ერთი და იმავე მუშაკებით მანევრირებისა. არის ფაქტები და არ შეიძლება მათი დაფარვა, როცა ერთი და იგივე მუშაკები ადგილიდან ადგილზე გადაგვყავს, ცოცხალ ძალებს კი ვერ ვამჩნევთ.

— სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია, — ამბობს დასასრულ ამხ. ცაგარეიშვილი, — ყველაფერს გააკეთებს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გაუმჯობესოს კადრებთან მუშაობა, აიყვანს ამ მუშაობას შვიდწლედის დიადი ამოცანების დონეზე.

— სკკპ XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, — თქვა თავის გამოსვლაში პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. დურგარიანმა,** — ბოგდანოვკის რაიონის მშრომელებში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. სოფლის მშრომელები იბრძვიან სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და, უწინარეს ყოვლისა, საკოლმეურნეო წარმოების წამყვანი დარგის — მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ილაპარაკა რა მუშაობაში მიღწეულ წარმატებებზე, ამხ. დურგარიანმა აღნიშნა, რომ ეს წარმატებები უზრუნველყვეს კადრებმა, რომელთათვის ზრუნვა შესამჩნევად გაძლიერდა. უკანასკნელ ხანს კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა თანამდებობებზე დ

კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

(დასასრული)

ორგანიზაცია ძალების სრული დაძაბვით მუშაობენ, უნარი შესწევთ დარაზმონ კოლექტივი საწარმოო გეგმის შესასრულებლად, ავლინებენ და იყენებენ არსებულ რეზერვებს, ნერგავენ ახალ ტექნიკასა და შრომის პროგრესულ მეთოდებს, გაბედულად აწინაურებენ ახალგაზრდა კადრებს. იქ კი, სადაც მუშაობაში ჩავარდნაა, ჩვენ ვხედებით საქმისადმი ობივატელურ გულგრილობას, იმის უნარის უქონლობას, რომ გაერკვნენ საწარმოს საწარმოო-ეკონომიურ საკითხებში, ახალი კადრების დაწინაურების შიშს.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის კერამიკული კომბინატი (დირექტორი ამხ. მღებრიშვილი). ეს საწარმო წინათ სისტემატურად ვერ ასრულებდა საწარმოო გეგმებს. მიუხედავად მთელი დახმარებისა, რასაც მას უწევდნენ, კომბინატმა მდგომარეობა ვერ გამოასწორა. საჭირო გახდა ხელმძღვანელობის შეცვლა, იქ უფრო გამოცდილი და საქმის მცოდნე მუშაკების გაგზავნა. საწარმოს მუშაობის დღევანდელი შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიღებული ღონისძიებები სწორი იყო.

მაგრამ ჩვენ არაიშვიათად ვურიგდებით ხელმძღვანელ პოსტებზე ნაკლებნიჭიერი, ცხოვრებისაგან ჩამორჩენილი მუშაკების ხანგრძლივად ყოფნას, რაც წარმოშობს დამყაყებას, ხელს უშლის ახალი ძალების შემატებას. ეს არის იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები, მშენებლობები, კოლმეურნეობები, რაიონები წლითიწლობით ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს.

ჩვენ, მაგალითად, დიდხანს ვურიგდებოდით ცუდ მდგომარეობას ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, რომელიც მანქანათსამშენებლო საწარმოთათვის სხმულის ძირითადი მიმწოდებელია. დირექტორი ამხ. კოჭლავაშვილი თავს ვერ ართმევდა მუშაობას, საჭირო გახდა შეგვეცვალა იგი, დაგვეყენებინა იქ ენერგიული და პატიოსანი მუშაკი.

შეიძლება მოვიყვანოთ საკმაოდ ბევრი ასეთი მაგალითი აგრეთვე რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, ჩვენი მეურნეობის ყოველ დარგზე.

დაწვრილებით შეეხო რა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს 1958 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, მისი მუშაობის ნაკლოვანებებს, ამხ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ანალოგიური მდგომარეობაა ამა წლის 5 თვის მუშაობის შედეგების მიხედვითაც. მაჩვენებლები კარგია, გეგმა მთლიანად შესრულებულია, ზრდაც არის, მაგრამ თუ შევხედავთ ცალკეულ საწარმოებს, ირკვევა, რომ მათგან 27 პროცენტზე მეტმა საწარმოო გეგმა ვერ შეასრულა, სახელმწიფოს 95,9 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო.

სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებები რომ არის, ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი დარგმრივი სამმართველოს, ტრესტისა და საწარმოს ეკონომიური მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას. სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში უზრუნველყოფილი არ არის საწარმოო-ფინანსური გეგმების დროულად შედგენა, და ამ გეგმებს საწარმოებს დაგვიანებით აძლევენ.

ჩვენში ცუდი მდგომარეობაა მშენებლობის მხრივ, განსაკუთრებით მიმდინარე წელს. მიუხედავად ზოგიერთი ობიექტური მიზეზისა, არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ მუშაობის სრული ჩაშლა სკოლა-ინტერნატების, საავადმყოფოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში. ეს უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ამხ. ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილეებმა ამხ. ჯაფარიძემ, კერესელიძემ, მაისურაძემ შეასუსტეს ხელმძღვანელობა და ჯეროვანი მომთხოვნელობა სამშენებლო ტრესტებისა და კანტორების ხელმძღვანელების მიმართ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უკანასკნელ ხანს შეამოწმა რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები: ყასპის, ზუგდიდის, ცხაკაიასი, ჩხოროწყუსი, დუშეთისა და სხვები. უნდა ითქვას, რომ ამ რაიონებში საკმაოდ ულამაზო სურათი აღმოჩნდა.

ბევრ რაიონში უხეშად ირღვევა საბჭოთა კანონმდებლობის პრინციპები, მფლანგველურად იხარჯება სახელმწიფო სახსრები, ირღვევა ფინანსური დისციპლინა, არ სრულდება სადირექტივო ორგანოების დადგენილებები, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები კი არათუ თვალყურს არ ადევნებენ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვას, არამედ ხშირად თვითონ არიან ამ დარღვევათა ინიციატორები.

საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის სერიოზული დარღვევები გამომჟღავნებულ იქნა აჭარის ასს რესპუბლიკაში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, გორის, დუშეთის, ხაშურისა და აბაშის რაიონებში.

შეეხო რა რესპუბლიკის ბუნების დაცვის საკითხებს, ამხ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში სუსტად წარმოებს ბრძოლა ბუნების დაცვის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ.

უეჭველია, ამბობს დასასრულ ამხ. ჯავახიშვილი, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია წარმატებით დაძლევს ამ პლენუმის მიერ გამომჟღავნებულ ნაკლოვანებებს კადრების აღზრდასა და გამოყენებაში და ღირსეულად გადაწყვეტს მთელ ჩვენს ხალხთან ერთად რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული განვითარების ამოცანებს.

სახალხო განათლების სისტემასთან, მშრომელთა შრომითს აღზრდასთან, პედაგოგიურ კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი საკითხები წამოაყენა პლენუმზე თბილისის 41-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. **ა. ტიმოფეევამ.**

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ს. ჩხარტიშვილმა** ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელიც კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის წარმოებს, და შეეხო ნაკლოვანებებს.

1957-1959 წლებში პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ნომენკლატურის 642 მუშაკიდან შეიცვალა 319, მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც სამუშაოდან მოხსნილია სხვადასხვა დანაშაულისათვის ან იმის გამო, რომ თავი ვერ გაართვა სამუშაოს, ხოლო კოლმეურნეობათა 166 თავმჯდომარიდან მარტო წელს 49 კაცი შეიცვალა.

თავის გამოსვლაში ამხ. შავიშვილმა დააყენა საკითხი პარტიულ კომიტეტებში განყოფილებათა შექმნის შესახებ.

გამოდის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. **მ. ღვინჯილია.** იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელებულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ვაჭრობის შემდგომი განვითარებისაკენ, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლებისა და კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისაკენ. უნდა აღინიშნოს, როგორც დადებითი ფაქტი, რომ ვაჭრობის მუშაკთა შორის გადიდდა კომუნისტთა და კომკავშირელთა პროცენტი, ვაჭრობაში მოვიდა ახალგაზრდობა, უმთავრესად ქალიშვილები, რომლებმაც საშუალო სკოლები და სპეციალური სასწავლებლები დაამთავრეს. ერთნახევარჯერ-ორჯერ გაიზარდა ვაჭრობის იმ მუშაკთა რიცხვი, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვთ.

მაგრამ ვაჭრობის მუშაკთა კადრების შერჩევაში საკმაოდ ბევრი ნაკლია. მარტო 1958 წელს ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, გაფლანგვა-დატაცებისათვის სახელმწიფო ვაჭრობიდან დათხოვნილი და პასუხისგებაში მიცემულია მუშაკთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

იმასთან დაკავშირებით, თქვა ამხ. ღვინჯილიამ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფისათვის, ვაჭრობის სამინისტრომ უნდა მიიღოს ღონისძიებანი მასობრივი პროფესიის კადრების მომზადებისათვის, შეავსოს მათი რიგები საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ამხ. **კ. ზავრიევმა** თქვა, რომ შვიდწლიანი გეგმა უდიდეს ამოცანებს სახავს მრეწველობის, ტრანსპორტისა და განსაკუთრებით მშენებლობის მუშაკების წინაშე. იმისათვის, რომ ეს ამოცანები შეავასრულოთ მაღალ ტექნიკურ დონეზე, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ბაზაზე, საჭიროა უაღრესად სერიოზული ყურადღება მივაქციოთ როგორც ახალი კადრების მომზადებას, ისე ძველი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა მეტ წარმატებებს უნდა მიაღწიონ იმ პრობლემების დამუშავებაში, რომლებსაც მათ წინაშე ცხოვრება სახავს.

შემდეგ ამხ. ზავრიევი დაწვრილებით ეხება ასპირანტურის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი ამბობს, რომ ჩვეულებრივად ასპირანტი ან რომელიმე სხვა დისერტანტი თავის ხელმძღვანელს სთხოვს შეურჩიოს სადისერტაციო თემა. მაგრამ ეს ძირეულად არასწორია.

თემა მას უნდა უკარნახოს თვით ცხოვრებამ, მისმა წინანდელმა მოღვაწეობამ. ამასთან თემა უნდა აინტერესებდეს ახალგაზრდა სპეციალისტს, იწვევდეს მის შემოქმედებითს ღელვას, ვინაიდან უამისოდ წარმატება შეუძლებელია.

— ასაკით უფროსი მეცნიერები, — ამბობს ამხ. ზავრიევი, — ყოველნაირ დახმარებას უნდა უწევდნენ მეცნიერებაში მომუშავე მზარდ ახალგაზრდებს. ჩვენ კი საკმაოდ ხშირად ვხედებით ისეთ შემთხვევებს, როცა მეცნიერი დაჟანჯალებს თავის მეცნიერულ იდეებს, არავის არ უშვებს მათთან, ეშინია, რომ როგორმე არ გაქურდონ. ასეთი მეცნიერები კარჩაკეტილნი ხდებიან, თავიანთ სკოლას ვერ ქმნიან. ამავე დროს კი რა სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ როცა შენ მწყობრიდან გამოხვალ, შენი იდეები კი არ მოკვდებიან, არამედ მათ შენი მოწაფეები განაგრძობენ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ე. შევარდნაძემ** ილაპარაკა ახალგაზრდა კადრების დაწინაურებასა და აღზრდაზე. მან მოიყვანა საინტერესო მაგალითები და ფაქტები, რომლებიც მოგვითხრობენ ახალგაზრდობის სასახელო საქმეებზე, შვიდწლიანი გეგმის ამოცანების განხორციელებაში მათ მიერ შეტანილ წვლილზე.

ამასთან ერთად ამხ. შევარდნაძე აღნიშნავს, რომ მთელ რიგ საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები საკმაო მზრუნველობას არ იჩენენ ახალგაზრდა მუშათა, კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებისათვის, მათი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. სამშენებლო ორგანიზაციების თხოვნით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ხშირად გზავნის მშენებლობებზე ახალგაზრდობას. მაგრამ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობის გამო, ბევრნი რამდენიმე ხნის შემდეგ ტოვებენ მშენებლობებს. მაგალითად, მთავართბილისმშენის საერთო საცხოვრებლებში 900-მდე მუშა და მოსამსახურე ცხოვრობს, მათგან ცოტა როდია ახალგაზრდობა, მაგრამ მათი ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ნაკლები ყურადღება ექცევა. ონის რაიონში არის სოფლები, სადაც ახალგაზრდობას წლების განმავლობაში არ შეუძლია კინოფილმი ნახოს.

შეეხო რა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე მდგომ ამოცანებს, მან აღნიშნა, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით.

— საჭიროა, — თქვა მან, — რომ ჩვენში კიდევ უფრო მეტი გაქანება მიიღოს პატრიოტულმა მოძრაობამ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდების უფლებისათვის.

საქართველოს სსრ პროკურორი ამხ. **მ. თოფურიძე** თავის გამოსვლაში შეეხო ორ საკითხს, რომლებიც ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებიდან გამომდინარეობს, — დანაშაულობრიობასთან ეფექტური ბრძოლის ორგანიზაციისათვის კადრების შერჩევისა და განაწილების პარტიული პრინციპების მნიშვნელობას და იურიდიული სამსახურის როლს მმართველობის ორგანოებსა და სახალხო მეურნეობაში.

— საგამომძიებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, — თქვა მან, — რომ კადრების სწორი შერჩევისა და აღზრდის პარტიული პრინციპების დავიწყება და დარღვევა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულობებს, განსაკუთრებით სოციალისტური საკუთრების დატაცებას.

შემდეგ ამხ. თოფურიძემ მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, თუ რას იწვევს კადრების შერჩევისა და აღზრდის ლენინური პრინციპის დარღვევა, ილაპარაკა იმაზე, თუ რა ბრძოლა წარმოებს რესპუბლიკაში მფლანგველობასთან, დატაცებასთან, სპეკულაციასთან და სხვა ბოროტმოქმედებებთან.

თავის გამოსვლაში ამხ. თოფურიძემ წამოაყენა წინადადება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მუშაობა კადრების შესარჩევად, განსაკუთრებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ გაგზავნისას; უნდა განვამტკიცოთ საკონტროლო-სარევიზიო აპარატი პატიოსანი და გამოცდილი მუშაკებით.

პლენუმზე გამოვიდნენ აგრეთვე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. **დ. ივაშჩენკო** და **ი. ხვედელიანი.**

კერძოდ, ამხ. ხვედელიანი თავის გამოსვლაში დაწვრილებით შეჩერდა ახალგაზრდა მუშების აღზრდაზე. მან თქვა, რომ ახალგაზრდა მუშებმა, რომლებიც წარმოებაში სკოლის სკამიდან მოვიდნენ, კარგად გამოიჩინეს თავი, შრომის მაღალ ნიმუშებს გვიჩვენებენ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. **რ. მარგიანმა,** რომელიც პლენუმზე გამოვიდა, თქვა, რომ ქართველ მწერლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეულად შეასრულონ მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობის, მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული საპატიო ამოცანები. ბევრი მათგანი უკვე მუშაობს იმაზე, რომ შექმნას მაღალიდეური, მართალი ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს, მთელი სიდიადითა და სილამაზით გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანებს — კომუნიზმის მშენებლებს.

* * *

განხილულ საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გაშლილი გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის საქმეში მუშაობის გაუმჯობესებისაკენ, პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ.

ყოველი მრეწველისა

„უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევა აუცილებელია“

უცხოეთის გაზეთები კრემლში გამართულ მიტინგზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გამო

პეკინი, 20 ივნისი. (საკდესი). ჩინეთში უდიდესი ყურადღებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ კრემლში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის მიტინგზე 19 ივნისს წარმოთქმულ სიტყვას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა პეკინში, აგრეთვე შანხაის, ტინძინისა და ჩინეთის სხვა ქალაქების რადიოსადგურებმა დღეს რამდენჯერმე გადასცეს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი.

პეკინის საღამოს გაზეთმა „დეიძინ ვანბაომ“ დაწვრილებით გამოაქვეყნა პირველ გვერდზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი. მთელ გვერდზე მოყვანილი დიდი სათაურით „დეიძინ ვანბაო“ აღნიშნავს: „დასავლეთის სახელმწიფოები განზრახან ფუშავენ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს. უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევა სრულიად აუცილებელია“.

ბონი, 20 ივნისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთები დღეს დიდ ყურადღებას უთმობენ გუშინ კრემლში გამართულ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის მიტინგს. გაზეთები განსაკუთრებით დაწვრილებით აშუქებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის მიტინგზე.

ყველა გაზეთი გამოაყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის იმ ნათქვამს, რომ საბჭოთა კავშირი იძულებული გახდება დადოს საზღვარ ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, თუ დასავლეთის სახელმწიფოები კვლავაც უარს იტყვიან ხელი მოაწერონ ასეთ ხელშეკრულებას ორივე არსებულ გერმანიის სახელმწიფოსთან. გაზეთები „ფრანკფურტერ-ალგემაინე“, „ზიუდდოიჩე ციტუნგი“ და სხვები ხაზს უსვამენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის იმ სიტყვებს, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზღვარ ხელშეკრულების დადება ბოლოს მოუღებდა ოკუპაციის ყველა ნაშთს, რაც ჯერ კიდევ არის მის ტერიტორიაზე.

გაზეთ „ვესტფელიშე რუდშაუ“ სათაურად გამოაყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის ნათქვამს იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიის კანცლერის ადენაუერის პოლიტიკა დამლუნგულია. იგივე გაზეთი აღნიშნავს, რომ, როგორც საბჭოთა მეთაურმა განაცხადა, უმაღლეს დონეზე თათბირი ადრე თუ გვიან გაიმართება, რამდენადაც ხალხები ვერ შეურიგდებიან ახალანდელ საშიშ მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ფრანკფურტერ-ალგემაინე“ გამოაყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ყველის თათბირის წარუმატებლობის შემთხვევაში მთავრობათა მეთაურების შეხვედრა კიდევ უფრო საჭირო და გადაუდებელი გახდება.

გაზეთი „შტუტგარტერ ციტუნგი“ აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლის იმ ადგილს, სადაც მან განაცხადა, ვადების საკითხი საბჭოთა კავშირის წინადადებებში პრინციპული და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი არ არის და ამიტომ არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირს რაიმე ულტიმატუმი წამოეყენებინოსო.

გაზეთები იუწყებიან აგრეთვე, რომ მიტინგზე გამოვიდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოტო გროტეველი.

ვარშავა, 20 ივნისი. (საკდესი). პოლონეთის დღევანდელი ცენტრალური გაზეთები „ტრიბუნა ლუდუ“, „ჟიცე ვარშავი“, „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“, „ძენ�ეკ ლუდოვი“ და სხვები პირველ გვერდზე იუწყებიან, რომ მოსკოვში ხელი მოაწერეს კომენიკეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ სსრ კავშირში, აგრეთვე ბეჭდავენ ანგარიშს კრემლში გამართული გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგის შესახებ.

გაზეთები აქვეყნებენ ვრცელ ამონაწერებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლიდან ამ მიტინგზე.

ისინი გამოაჭაოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებათა არსია თანდათან მოისპოს არანორმალური მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში, მომზადდეს საზავო ხელშეკრულებანი და ღონისძიებანი გერმანიის გასაერთიანებლად.

„ჟოლნეჟ ვოლნოსტი“ სათაურად ბეჭდავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს: იმ შემთხვევაში, თუ აგრესიული და რეაქციული წრეები ხელს შეუშლიან საზავო ხელშეკრულების დადებას ორ გერმანულ სახელმწიფოსთან, ისღა დაგვრჩენია საზავო ხელშეკრულება დავდოთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთანო.

„ტრიბუნა ლუდუ“, „ჟიცე ვარშავი“ და სხვა გაზეთები ხაზს უსვამენ სათაურებში: „თუ მინისტრებმა ვერ შეძლეს საჭირო შეთანხმების მიღწევა, მეთაურთა შეხვედრა კიდევ უფრო აუცილებელი გახდება“.

პერუს დედაქალაქ ლიმაში პოლიციამ გაფანტა დემონსტრანტები, რომლებიც ცდილობდნენ მოეწყოთ მიტინგი პარტია „სახალხო მოქმედების“ ლიდერის ფერნანდო ბელაუნდეს დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

სურათზე: პოლიციელები სცემენ დემონსტრანტს დაპატიმრების წინ.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

ა. ა. გრომიკო მოსკოვში დაბრუნდა

21 ივნისს საღამოს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო — მეთაური საბჭოთა დელეგაციისა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხ. ა. ა. გრომიკოს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, აგრეთვე მთელ რიგ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები. (საკდესი).

კანადაში დამთავრდა სსრ კავშირის დიდი თეატრის გასტროლები

მონრეალი, 21 ივნისი, (საკდესის კორ.). სპეკტაკლით „გედის ტბა“ ქალაქ ძონრეალში დამთავრა თავისი გამოსვლები კანადაში სსრ კავშირის დიდი თეატრის სბალეტო დასმა. კანადის ორ უდიდეს ქალაქში — ტორონტოსა და მონრეალში — მაყურებელს უჩვენეს ბალეტები „ჟიზელი“ და „გედის ტბა“ და ორი საკონცერტო პროგრამა, რომლებშიც შედიოდა ბევრი კლასიკური და თანამედროვე საბჭოთა ბალეტის ფრაგმენტები, აგრეთვე სხვადასხვა დივერტისმენტი. საბჭოთა მსახიობების წარმოდგენებს დაესწრო დაახლოებით 80.000 კაცი — სწორედ იმდენი, რამდენიც დაიტიეს თეატრის დარბაზებმა, რომლებიც ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი.

დიდი თეატრის ბალეტის ყველა სპეკტაკლმა კანადაში უდიდესი წარმატებით ჩაიარა. კანადელთა ერთსულოვანი აღიარებით, ასეთი წარმატება, როგორიც დიდი თეატრის ბალეტს ჰქონდა, არ ჰქონია უცხოეთის არც ერთ დასს, რომელიც ოდესმე ჩამოსულა კანადაში.

მაღალი შეფასება მისცა დიდი თეატრის სბალეტო დასის გამოსვლებს კანადის პრესამ. „დიდი თეატრის ბალეტის სპეკტაკლები რომ ვნახეთ, — წერდა მონრეალის გაზეთ „გაზეტის“ თეატრალური კრიტიკოსი ჰაროლდ უაიტჰედი, — შეგვიძლია სრულიად უყოყმანოდ განვაცხადოთ, რომ ეს შესანიშნავი დასია“.

დიდი თეატრის ბალეტის გასტროლები კანადაში თვალსაჩინო წვლილია სსრ კავშირისა და კანადის კულტურული კავშირურთიერთობის განვითარების საქმეში. კანადელმა ხალხმა განსაკუთრებული გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით მიიღო საბჭოთა მსახიობები, რომელთა გამოსვლებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს კანადის საზოგადოებაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი განათლების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო გარდაქმნა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად დანიშნა ამხ. ვიაჩესლავ პეტრეს-ძე ელიუტინი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

რადიო

23 ივნისი

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.30 — დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა მუსიკის კონცერტი, 12.15 — ე. ხიჯაკაძის კონცერტი, 12.45 — თ. გოგოლაშვილის კონცერტი, 17.20 — ნაწყვეტები მოკროუსოვის და სტრელნიკოვის ოპერეტებიდან, 17.45 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის, 18.05 — ნარიმანიძის კაპრიჩიო „მშობლიური ჰანგები“ და „საცეკვაო სიუიტა“, 18.45 — გლინკას რომანსები ი. შუშანიას შესრულებით, 19.00 — ფეხბურთის საერთაშორისო მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან, 20.20 — რადიოჟურნალი ახალგაზრდობისათვის, 20.50 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.15 — ლიტერატურული გადაცემა. ო. ჰენრის მოთხრობები, 21.45 — კონცერტი — საუბარი: „დირიჟორი ევგენი მიქელაძე“.

ტელევიზია

23 ივნისი

18.25 — ფეხბურთის საერთაშორისო მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან. ერთმანეთს ხვდებიან საფრანგეთის „რეიმსი“ და თბილისის „დინამო“, 20.15 — 26 კომისრის სახელობის რაიონის მუშათა დასახლების კლუბის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლა, 20.50 — უკანასკნელი ცნობები, 21.05 — ახალი მხატვრული ფილმი „მაისის ვარსკვლავები“.

თეატრები ოპერაში და კინოში

23 ივნისი

რუსთაველის სახელობის—როცა ასეთი სიყვარულია, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სიხარულის ძიებაში, **ფილარმონიის საზაფხულო** — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საესტრადო ორკესტრი მაქს გრეგერის და სხვ. მონაწილეობით.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი,** ისანი (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ომი და მშვიდობა, **კომკავშირელი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის** (საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — უკანასკნელი დიუმი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), **ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — ნინო, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო) — ცხრა სიცოცხლე, **კოლხიდა,** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — დაუყოლიებელნი, **ოფიცერთა სახლი, კოლხიდა,** (საზაფხულო)—სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია.

უე 02561 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.